შპს მარნეულის კოლეჯის პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროების კვლევის ანგარიში

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ

ქ. მარნეული

2026, ივლისი

კვლევის სტრუქტურა

1. საკვლევი საკითხი
2. კვლევის მიზნები
3. სამიზნე ჯგუფი
4. კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი
5. შერჩევა
6. კვლევის მონაცემები
7. დასკვნა და მიგნებები

თემის აქტუალობა

საკვლევი საკითხი: შპს მარნეულის კოლეჯის პერსონალის კმაყოფილების დადგენა და საჭიროების გამოვლენა.

შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯში სხვადასხვა მიმართულებით კვლევების დაგეგმვა, განხორციელება და მიღებული შედეგების ანალიზი. პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროების კვლევის შედეგები კოლეჯს შესაძლებლობას მისცემს დაგეგმოს მიზანმიმართული და ეფექტური ცვლილებები, დანერგოს შესაბამისი სიახლეები და ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. კვლევა ხორციელდება კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების საწყის ეტაპზე, ხოლო კვლევის საბოლოო ანგარიში ქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე.

კვლევის მიზნები, სამიზნე ჯგუფი, კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი

კვლევის მიზნები:

- ❖ კოლეჯის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების დადგენა;
- ❖ კოლეჯის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საჭიროებების გამოვლენა;

სამიზნე ჯგუფი: კოლეჯის პერსონალი - მასწავლებლები და ადმინისტრაციის წევრები;

კვლევის მეთოდი: რაოდენობრივი .

კვლევის ინსტრუმენტი: ნახევრადსტრუქტურირეული კითხვარი

შერჩევა

კვლევაში გამოყენებული იყო მიზნობრივი შერჩევის მეთოდი, რაც გულისხმობს კოლეჯის იმ პერსონალის ჩართვას, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში. შერჩევა მოიცავდა როგორც აკადემიურ, ასევე ადმინისტრაციულ თანამშრომლებს, რაც უზრუნველყოფს კვლევის შედეგების რელევანტურობას დაწესებულების შიდა პროცესების შეფასებისთვის. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა, მიღებული მონაცემები პრაქტიკულად იქნას გამოყენებული კოლეჯის ხარისხის მართვის სისტემის განვითარებისა და სამოქმედო გეგმების დახვეწის მიზნით.

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 30 პირმა.

18 პროფესიული განათლების მასწავლებელმა;

12 ადმინისტრაციულმა პერსონალმა;

კვლევის მონაცემები

აკადემიური პერსონალი

კვლევაში მონაწილეობა მიიღო მარნეულის კოლეჯის 18-მა მასწავლებელმა, აღნიშნულიდან 50% გახლდათ დარგობრივი მოდულის, 22% როგორც ზოგადი ასევე დარგობრივი მოდულების და 28% იყო ზოგადი მოდულის მასწავლებელი, რაც სრულიად რელევანტურია კვლევის სანდოობის ნაწილში.

- 18-ვე რესპონდენტი ადასტურებს, რომ იცნობს ამ ფუნდამენტურ დოკუმენტებს.
- მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგთა უმრავლესობა ჩართული იყო დოკუმენტების შემუშავების პროცესში, რესპონდენტთა გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ ეს დოკუმენტი მხოლოდ გაუზიარეს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯი იყენებს კომუნიკაციის კომბინირებულ მოდელს: ერთის მხრივ, მონაწილეობითი დაგეგმარება ძირითადი ბირთვისთვის და მეორეს მხრივ, ინფორმირების ეფექტური სისტემა ყველა თანამშრომლისთვის.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა 100%-მა იცის, სად არის განთავსებული კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

კვლევაში მონაწილე ყველა მასწავლებელი ადასტურებს, რომ იცნობს კოლეჯის შინაგანაწესს, დებულებასა და სასწავლო პროცესის წესს. ეს ადასტურებს იმას, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

მათი მოვალეობები:

- •საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და ცვლილებების პროცესში მონაწილეობა;
- •სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრებისა და კონსულტაციების ჩატარება;
- •სტუდენტების შეფასება, შეფასების ანალიზი და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება;
- •კალენდარული გეგმისა და სასწავლო დოკუმენტაციის წარმოება;
- •საკვალიფიკაციო გამოცდებსა და სხვადასხვა კომისიის მუშაობაში მონაწილეობა;
- •მოდულის ადაპტირებისა და სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაწილეობა;
- •საჭირო სასწავლო რესურსების მოთხოვნის წარდგენა;
- •სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესისა და შეფასების წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- •შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა და საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლის მოვალეობის შესრულება.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა 100% იცნობს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს და თვლიან, რომ კოლეჯში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა, ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

მასწავლებელთა ცნობიერება კოლეჯის უსაფრთხოების მართვის სისტემის შესახებ მაღალია:

- 18-ვე რესპონდენტი ინფორმირებულია უსაფრთხოების წესების შესახებ;
- ყველამ იცის, სად უნდა მიიღოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
- 18-ე მასწავლებელი კმაყოფილია ვებ გვერდის ნავიგაციით.

ევაკუაციის სიმულაციურ სწავლებებში მასწავლებელთა უმრავლესობას (12 რესპონდენტი) მიღებული აქვს მონაწილეობა, ხოლო 4 რესპონდენტს – **არა**.

- მასწავლებელთა უმრავლესობა სრულად კმაყოფილია IT მომსახურებით;

ყველა რესპონდენტი ადასტურებს ბიბლიოთეკის რესურსების ხელმისაწვდომობას და მათ დამუშავებას საბიბლიოთეკო წესით, რაც ხარისხის მართვის ერთ-ერთი მოთხოვნაა.

- ბიბლიოთეკას უფრო ხშირად აღმზრდელი, საექთნო, IT-ის მასწავლებლები იყენებენ ყველაზე ხშირად 8 მასწავლებელი.
- მასაჟი, აღმზრდელი, ფარმაცია, ფინანსები იყენებს ხშირად 5 მასწავლებელი.
- ფარმაცია- არც ისე ხშირად 3 მასწავლებელი და საფინანსო სერვისების 2 მასწავლებელი.

აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა პედაგოგთა მზაობა და მაღალი ინტერესი სასწავლო პროცესის მოდერნიზების მიმართ. მათ მიერ წარმოდგენილი ინიციატივები ეფუძნება უშუალო პედაგოგიურ გამოცდილებას და მიზნად ისახავს პროგრამების შინაარსობრივ დახვეწას, შრომის ბაზართან კავშირების გაღრმავებასა და სტუდენტებისთვის უფრო მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. ეს წინადადებები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს კოლეჯის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და ხარისხის მართვის სისტემის შემდგომი განვითარებისთვის.

ქვემოთ მოცემულია პერსონალის მიერ გაჟღერებული ძირითადი ინიციატივები:

- ვაჟებისთვის საინტერესო პროგრამების დამატება (ელექტროობა, შედუღება)
- საფინანსო სერვისების ახალი სახელმძღვანელოს შექმნა.
- სტუდენტების ვიზიტები ფარმაცევტულ საწარმოებში.
- სტუდენტების ვიზიტი სხვა და სხვა ლაბორატორიაში.
- სტუდენტური კონფერენციის ჩატარება.
- სასურველია მიკროსკოპების განახლება.

კვლევის მონაცემები

ადმინისტრაციული პერსონალი

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 12 ადმინისტრაციული თანამშრომელი;

- რესპონდენტთა 100% აცხადებს, რომ კარგად აქვთ გააზრებული კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, გაუზიარდათ კოლეჯის სტრატეგიული ან/და სამოქმედო გეგმა და ასევე, კოლეჯი უზრუნველყოფს თანამშრომლების ინფორმირებას სტრატეგიული გადაწყვეტილებების შესახებ;
- სრული უმრავლესობა ადასტურებს, რომ მათი სამუშაოს აღწერილობა ნათელია და ზუსტად ასახავს მათ მოვალეობებს;
- 12-ივე თანამშრომელი მიიჩნევს, რომ მართვის პროცესი ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს და მათი რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

ბიბლიოთეკის გამოყენება

კვლევა ავლენს ბიბლიოთეკის გამოყენების დაბალ ინტენსივობას ადმინისტრაციულ პერსონალში. 12 რესპონდენტიდან მხოლოდ 2 იყენებს ბიბლიოთეკას ხშირად ან ძალიან ხშირად. დანარჩენი ნაწილი სარგებლობს იშვიათად (4), არც ისე ხშირად (4) ან საერთოდ არ სარგებლობს (2)

სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

ადმნისტრაციული პერსონალი სრული უმრავლესობა კმაყოფილებას გამოთქვამს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას, ცენტრალურ გათბობასა და IT მომსახურებასთან დაკავშირებით;

უსაფრთხოების წესები

რესპონდენტთა 100% აცხადებს, რომ უსაფრთხოების წესების შესახებ ინფორმირებულია და პირველადი დახმარების მიღების ადგილებს იცნობს;

პრაქტიკულ უნარები: რესპონდენტთა მხოლოდ 33.3%-ს (4 პირი) არასოდეს მიუღია მონაწილეობა საგანგებო სიტუაციაში რეაგირებასთან დაკავშირებულ სიმულაციურ სწავლებაში;

პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას

- რესპონდენტთა 100% მიიჩნევს, რომ დაწესებულება ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 9 თანამშრომელმა (75%)
- რესპონდენტთა 75% (9 პირი) აცხადებს მზაობას მომდევნო 3 წლის განმავლობაში კოლეჯში მუშაობის თაობაზე, 3 რესპონდენტის კი, პასუხი არაერთგვაროვანია.

ახალი ინიციატივები

კვლევის მიხედვით 12-ივე რესპონდენტს ამჟამად არ აქვს ინიციატივა, აღნიშნული შესაძლოა აიხსნას იმით, რომ თანამშრომლები არსებულ პროცესებს ეფექტიანად მიიჩნევენ და ამ ეტაპზე ცვლილებების საჭიროებას ვერ ხედავენ.

- კითხვაზე, თუ რა არის მუშაობის პროცესში მათი მოტივაცია, ყველაზე ხშირი პასუხებია „გუნდურობა“, „ჯანსაღი გარემო“, „საუკეთესო კოლექტივი“ და „სტუდენტების წარმატება“. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯში ჩამოყალიბებულია „ჰარმონიული ურთიერთობების“ კულტურა, რაც პერსონალის კმაყოფილების მთავარი წყაროა.
- გამოწვევების ნაწილში რესპონდენტთა უმრავლესობა (10 ადამიანი) აცხადებს, რომ პრობლემები არ აქვს. მხოლოდ მენეჯერი აღნიშნავს „ყოველდღიურ სიახლეებს ახალ პოზიციასთან დაკავშირებით“, რაც ბუნებრივი ადაპტაციის პროცესია. IT სპეციალისტი კი გამოირჩევა პრაქტიკული მიდგომით: „გამოწვევების და პრობლემის აღმოჩენისთანავე ვცდილობ გადავჭრა“
- ცვლილებების სურვილი მინიმალურია. რესპონდენტები თვლიან, რომ ადმინისტრაცია „გამართულად მუშაობს“. ერთადერთი კონკრეტული წინადადება გააჟღერა ერთ-ერთმა მენეჯერმა, რომელიც „იზრუნებდა პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე“, თუმცა აქვე დასძინა, რომ ეს პროცესი ისედაც უწყვეტად მიმდინარეობს.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მარნეულის კოლეჯში ორგანიზაციული კულტურა უმჯობესდება, რაც დასტურდება პერსონალის მაღალი ინფორმირებულობით დაწესებულების მისიაზე, ხედვასა და სტრატეგიულ მიზნებზე. თანამშრომლებს მკაფიოდ აქვთ გააზრებული საკუთარი როლი და ფუნქციები საერთო მიზნების მიღწევის პროცესში ;

დაწესებულებაში არსებული ფსიქოლოგიური განწყობა ცალსახად პოზიტიურია; მართვის სტილი ეფუძნება გუნდურობისა და მონაწილეობითობის პრინციპებს, რაც თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს. ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა, IT მომსახურება, უსაფრთხოების ნორმები, ჰიგიენური პირობები პერსონალის მიერ მაქსიმალური ქულით ფასდება, რაც ქმნის კომფორტულ და სტაბილურ სამუშაო გარემოს.

მიუხედავად ზოგადი კმაყოფილებისა, ანალიზი ავლენს გარკვეულ ასპექტებს, რომლებიც ყურადღებას მოითხოვს:

- პრაქტიკული უსაფრთხოების უნარების გაძლიერება: ადმინისტრაციული პერისონალის 33%-ს და 4 მასწავლებელს სიმულაციურ სწავლებებში არ მონაწილეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პერიოდულად დაგეგმილ პრაქტიკული წვრთნებში (ევაკუაცია, სახანძრო უსაფრთხოება) მოხდეს კოლეჯის ყველა თანამშრომლის მაქსიმალური ჩართულობა.
- პროგრამული პრიორიტეტების გადახედვა: გენდერული ბალანსის დაცვისთვის და კოლეჯის პოპულარიზაციის გაზრდისთვის სასურველია კოლეჯმა შეიმუშაოს ისეთი პროგრამები, როგორიცაა ელექტროობა, შედუღება და ს.ხ.ვ.
- აკადემიური აქტივობების სტიმულირება: დაიგეგმოს სტუდენტური კონფერენციები (მითუფრო აღნიშნული ღონისძიებების ორგანიზების გამოცდილება კოლეჯს უკვე აქვს) რაც გაზრდის სტუდენტთა ჩართულობას და ხელს შეუწყობს კოლეჯში სამეცნიერო-პრაქტიკული დისკუსიების განვითარებას.
- პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება: სასურველია გათვალისწინებული იქნას მასწავლებელთა ინიციატივები სტუდენტების საწარმოო ვიზიტებთან დაკავშირებით (ფარმაცევტული საწარმოები, ლაბორატორიები), რაც დაეხმარება სტუდენტებს თეორიული ცოდნის რეალურ გარემოში აპრობაციაში.
- სასწავლო მასალების მოდერნიზება: ხელი შეეწყოს საფინანსო სერვისების პროგრამის მასწავლებლებს ახალი, ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული სახელმძღვანელოს შემუშავებაში.
- მატერიალური რესურსების წერტილოვანი განახლება: პედაგოგთა მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნას ფარმაციის პროგრამისთვის ახალი მიკროსკოპის შეძენა და გადაიხედოს მასაჟის თერაპიის მოდულის რესურსები, რათა ისინი სრულად შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს.

მარნეულის კოლეჯი
COLLEGE OF MARNEULI

მადლობა ყურადღებისთვის!